

თამარ ვაშაკიძე

ერთი ტიპის დანართიანი სათაურის მართლწერისათვის

ნაირგვარია სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა სათაურ-სახელწოდებანი. ბუნებრივია, ისინი ძალიან ხშირად დანართთან ერთად გამოიყენება (რომანი, პოემა, ლექსი...). ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა სახითაა წარმოდგენილი თავად სახელწოდება (მაშასადამე, ის სიტყვები, რომლებიც ბრჭყალებშია ჩასმული).

არცთუ იშვიათად სათაურად დასტურდება ორი („და“ კავშირით შეერთებული) სახელობითბრუნვისფორმიანი სიტყვა (რომანი „დანაშაული და სასჯელი“ ტიპისა). ამ შემთხვევაში ერთმანეთის პარალელურად გვაქვს შემდეგი ვარიანტები (სამაგალითოდ წარმოვადგენთ მოთხრობითბრუნვისფორმიან სახელებს): რომან „დანაშაულმა და სასჯელმა“, რომან „დანაშაული და სასჯელმა“, რომანმა „დანაშაულმა და სასჯელმა“, რომანმა „დანაშაული და სასჯელმა“, რომანმა „დანაშაული და სასჯელი“-მ, რომან „დანაშაული და სასჯელი“-მ, რომანმა „დანაშაული და სასჯელი“.

არაერთგვაროვანი ვითარება გვაქვს მაშინაც, როცა სახელწოდება თანდებულებით არის გაფორმებული (მაგ., -ში თანდებულიანი ვარიანტები): რომან „დანაშაული და სასჯელში“, რომან „დანაშაულში და სასჯელში“, რომან „დანაშაულსა და სასჯელში“, რომან „დანაშაული და სასჯელი“-ში, რომანში „დანაშაული და სასჯელი“.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ასეთ შემთხვევებში თანხმოვანზე ფუძეგათავებული მსაზღვრელის ბრუნება მისდევს ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი სახელის ბრუნებას, რომელიც ეთანხმება თავის საზღვრულს ყველა ბრუნვაში, გარდა ნათესაობით-მოქმედებითისა, რომლებიც მიცემით-ვითარებითს ემსგავსება [აფრიდონიძე 2012: 405], მაგ., ლექსი „განთიადი“, ლექსმა „განთიადმა“, ლექს „განთიადს“/„განთიადის“/„განთიადით“ / „განთიადად“, მაგრამ ეს მაშინ, როცა ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით ფორმდება დანართიცა და სათაურიც. თუ ფორმამაწარმო-

ებელ აფიქსებს დავურთავთ მხოლოდ დანართს და სათაურს ხელუხლებლად დავტოვებთ, რა თქმა უნა, მსაზღვრელი (დანართი) ყველა ბრუნვაში გაფორმდება შესაბამისი ნიშნებით. მოთხრობით ბრუნვაში დანართის ფუძის სახით წარმოდგენა ყველა შემთხვევაში შეცდომაა. მაშასადამე, რომან „დანაშაული და სასჯელმა“, რომან „დანაშაულმა და სასჯელმა“, რომან „დანაშაული და სასჯელი“-მ ტიპები გამოირიცხა. სხვა საკითხია, თუ რომელი ვარიანტი შეიძლება ჩაითვალოს მართებულად ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში: რომანმა „დანაშაული და სასჯელმა“, რომანმა „დანაშაულმა და სასჯელმა“, რომანმა „დანაშაული და სასჯელი“-მ, რომანმა „დანაშაული და სასჯელი“.

თავდაპირველად ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დეფინით გამოეყოფოდა სათაურს, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს წესი გამარტივდა. დღეს ფორმამაწარმოებელი აფიქსები სახელწოდებისაგან დეფისით აღარ გამოიყოფა [აფრიდონიძე 2012: 405], მაშასადამე, რომანმა „დანაშაული და სასჯელი“-მ ტიპიც გამოირიცხა.

დაგვრჩა სამი ყველაზე გავრცელებული შემთხვევა: რომანმა „დანაშაულმა და სასჯელმა“, რომანმა „დანაშაული და სასჯელმა“ და რომანმა „დანაშაული და სასჯელი“.

პირველ შემთხვევაში (დიდი კამათი გამოიწვია რომანმა „დანაშაულმა და სასჯელმა“) დანართი ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულის (ორკომპონენტისანი სათაურის) ორსავე წევრს, მაგრამ იჩრდილება სათაურის პირველსაზე, რაც გაუმართლებელია. „დანაშაული და სასჯელი“ ერთი ნაწარმოების სათაურს წარმოადგენს და ორივე სიტყვაზე ბრუნვის ნიშნების დართვა აშკარად ზედმეტია. წინადადება მიმდებარე მოთხრობითი ბრუნვის ფორმებით. შესაბამისად, გაუმართავია სტილიც.

მიუღებლად მიგვაჩნია მეორე ვარიანტიც (დიდი კამათი გამოიწვია რომანმა „დანაშაული და სასჯელმა“), რადგან მსაზღვრელის შეთანხმება მხოლოდ ბოლო საზღვრულთან (სათაურის მხოლოდ მეორე კომპონენტთან) სინტაქსურად გაუმართლებელია (დარღვეულია დანართისა და საზღვრულის პირველი კომპონენტის სინტაქსური კავშირი). ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მაშინ, როცა სათაურის მხოლოდ მეორე სიტყვა ფორმდება ბრუნვის ნიშნით. რა თქმა უნდა, გაუმართავია სტილიც.

მესამე შემთხვევა (დიდი კამათი გამოიწვია რომანმა „დანაშაული და სასჯელი“), ვფიქრობთ, ყველაზე მისაღები ჩანს (როცა ბრუნვის ნიშანი დაერთვის მხოლოდ დანართს, ხოლო ორკომპონენტური სახელწოდება ხელუხლებლადაა წარმოდგენილი). ამგვარი დამოკიდებულება სათაურ-სახელწოდებებსა და დანართს შორის ქართულისათვის უცხო არ არის. ეს ის შემთხვევებია, როცა სათაურების ბოლო კომპონენტები წარმოდგენილია, მაგ., თანდებულიანი ან უთანდებულო მიცემითი ბრუნვის ფორმებით (ლექსმა „ფიქრნი მტკვრის პირას“, ლექსმა „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“); თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (ლექსმა „წამყე ბეთანიისაკენ“); მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (ლექსმა „მოდოდა ნინო მთებით“, მოთხრობამ „შელოცვა რადიოთი“); ზმნური შესიტყვებით (სტატიამ „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“); წინადადებით (ლექსმა „შემოდოდა ჩვენში კალანდა“) და ა. შ. რა თქმა უნდა, დიდი სხვაობაა რომანმა „დანაშაული და სასჯელი“ და ლექსმა „ფიქრნი მტკვრის პირას“ შემთხვევებს შორის (ისევე, როგორც დანარჩენ ზემოთ დასახელებულ ტიპებს შორის). მეორე შემთხვევაში (ლექსმა „ფიქრნი მტკვრის პირას“) სხვა ვარიანტი გამორიცხულია. მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს, ბუნებრივია, ხელახლა ვერ დავურთავთ ბრუნვის ნიშანს. რომანი „დანაშაული და სასჯელი“ ტიპი კი სწორედ იმ თვალსაზრისით ქმნის სირთულეს, რომ სათაურის ორივე წევრი სახელობითბრუნვისფორმიანია, შესაბამისად, დაისმის კითხვა: რომელი მათგანი უნდა გაფორმდებს ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით. ვფიქრობთ, ფორმამაწარმოებელი აფიქსების მხოლოდ დანართზე დართვა საუკეთესო გამოსავალია. შესაბამისად, გაიმართება სტილიც.

სახ.	რომანი „დანაშაული და სასჯელი“
მოთხრ.	რომანმა „დანაშაული და სასჯელი“
მიც.	რომანს „დანაშაული და სასჯელი“
ნათ.	რომანის „დანაშაული და სასჯელი“
მოქმ.	რომანით „დანაშაული და სასჯელი“
ვით.	რომანად „დანაშაული და სასჯელი“

ან კიდევ:

სახ.	რომანი „ომი და მშვიდობა“
მოთხზ.	რომანმა „ომი და მშვიდობა“
მიც.	რომანს „ომი და მშვიდობა“
ნათ.	რომანის „ომი და მშვიდობა“
მოქმ.	რომანით „ომი და მშვიდობა“
ვით.	რომანად „ომი და მშვიდობა“

ანალოგიური ვითარება გვექნება სათაურის თანდებულებით გაფორმების შემთხვევაშიც (თანდებული დაერთვის მხოლოდ დანართს):

- ში: რომანში „დანაშაული და სასჯელი“
- ზე: რომანზე „დანაშაული და სასჯელი“
- ვით: რომანივით/რომანსავით „დანაშაული და სასჯელი“
- თან: რომანთან „დანაშაული და სასჯელი“
- გან: რომანის(ა)გან „დანაშაული და სასჯელი“
- კენ: რომანის(ა)კენ „დანაშაული და სასჯელი“
- თვის: „რომანის(ა)თვის „დანაშაული და სასჯელი“
- დან: რომანიდან „დანაშაული და სასჯელი“
- მდე: რომანამდე „დანაშაული და სასჯელი“

სხვა შემთხვევაში:

- ში: რომანში „ომი და მშვიდობა“
- ზე: რომანზე „ომი და მშვიდობა“
- ვით: რომანივით/რომანსავით „ომი და მშვიდობა“
- თან: რომანთან „ომი და მშვიდობა“
- გან: რომანის(ა)გან „ომი და მშვიდობა“
- კენ: რომანის(ა)კენ „ომი და მშვიდობა“
- თვის: რომანის(ა)თვის „ომი და მშვიდობა“
- დან: რომანიდან „ომი და მშვიდობა“
- მდე: რომანამდე „ომი და მშვიდობა“

თუ ორსიტყვიანი სათაურის პირველი კომპონენტი ხმოვან-ფუძიანია, ამ უკანასკნელს, როგორც წესი, არ დაურთავენ ხოლმე ბრუნვის ნიშნებს (არც თანდებულებს), შესაბამისად, გამოიყოფა ორი ძირითადი ვარიანტი: კინოფილმმა „ანა და მეფე“, კინოფილმმა „ანა და მეფე“; კინოფილმმა „ცა და ვარსკვლავებმა“, კინოფილმმა „ცა და ვარსკვლავები“ და სხვ. ამ შემთხვევაშიც ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო (და ერთგვაროვნების დაცვის მიზნითაც) უფრო გამართლებულად მიგვაჩნია მხოლოდ დანართის გაფორმება ბრუნვის ნიშნებით.

სახ.	კინოფილმი „ანა და მეფე“
მოთხრ.	კინოფილმმა „ანა და მეფე“
მიც.	კინოფილმს „ანა და მეფე“
ნათ.	კინოფილმის „ანა და მეფე“
მოქმ.	კინოფილმით „ანა და მეფე“
ვით.	კინოფილმად „ანა და მეფე“

ან კიდევ:

სახ.	კინოფილმი „ცა და ვარსკვლავები“
მოთხრ.	კინოფილმმა „ცა და ვარსკვლავები“
მიც.	კინოფილმს „ცა და ვარსკვლავები“
ნათ.	კინოფილმის „ცა და ვარსკვლავები“
მოქმ.	კინოფილმით „ცა და ვარსკვლავები“
ვით.	კინოფილმად „ცა და ვარსკვლავები“

რაც შეეხება თანდებულებს, აღსანიშნავია, რომ **კინოფილმიდან „ანა და მეფე“** ტიპი ფაქტობრივად უკვე დამკვიდრებულია (ბუნებრივია, ანალოგიური ვითარება გვექნება სხვა თანდებულების დართვის შემთხვევებშიც)

- ში: კინოფილმში „ანა და მეფე“
- ზე: კინოფილმზე „ანა და მეფე“
- ვით: კინოფილმით/კინოფილმსავით „ანა და მეფე“
- თან: კინოფილმთან „ანა და მეფე“
- გან: კინოფილმის(ა)გან „ანა და მეფე“

- კენ: კინოფილმის(ა)კენ „ანა და მეფე“
- თვის: კინოფილმის(ა)თვის „ანა და მეფე“
- დან: კინოფილმიდან „ანა და მეფე“
- მდე: კინოფილმამდე „ანა და მეფე“

სხვა შემთხვევაში:

- ში: კინოფილმში „ცა და ვარსკვლავები“
- ზე: კინოფილმზე „ცა და ვარსკვლავები“
- ვით: კინოფილმით/კინოფილმსავით „ცა და ვარსკვლავები“
- თან: კინოფილმთან „ცა და ვარსკვლავები“
- გან: კინოფილმის(ა)გან „ცა და ვარსკვლავები“
- კენ: კინოფილმის(ა)კენ „ცა და ვარსკვლავები“
- თვის: კინოფილმის(ა)თვის „ცა და ვარსკვლავები“
- დან: კინოფილმიდან „ცა და ვარსკვლავები“
- მდე: კინოფილმამდე „ცა და ვარსკვლავები“

მაშასადამე, ისეთ შემთხვევებში, როცა სათაურ-სახელწოდებად გვაქვს ორი („და“ კავშირით შეერთებული) სახელობითბრუნვისფორმიანი სიტყვა (რომანი „დანაშაული და სასჯელი“ ტიპისა), ფორმამაწარმოებელი აფიქსებით უნდა გაფორმდეს მხოლოდ დანართი (ვკითხულობ რომანს „დანაშაული და სასჯელი“, ნაწყვეტი კინოფილმიდან „ანა და მეფე“...).

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2012 – შ. აფრიდონიძე, დანართიან სათაურ-სახელწოდებანი კონტექსტში (მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, დანართი №7), 2012, თბილისი.

Tamar Vashakidze

**Towards the Spelling of One Type
of a Title with Adjunct**

S u m m a r y

The paper deals with the recommendations for one type of a title with an adjunct. When two nouns in nominative case (connected with a **-da** „and“ conjunction) denotes a title (of a romani „**današauli da sasželi**“ type, „a novel „Crime and punishment“...), the formative affixes are added only to an adjunct (**vķitxulob romans „današauli da sasželi**“ „I’m reading the novel „Crime and punishment“, **romanši „omi da mšvidoba“ vķitxulobt...** „In the novel „War and peace“ we read...).